სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

31 იანვარი 2025 წ.

ბრძანება N 01-10/10

აბიტურიენტთა მომზადების მოკლევადიანი მიზნობრივი
საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შრომის
ანაზღაურების ოდენობისა და **ხარჯთაღრიცხვის**
(2025 წლის თებერვალი-ივნისი) დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-24 მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე" **ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 24 ოქტომბრის №07-01/59 გადაწყვეტილების,** ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულების საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" **ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 18 ნოემბრის №01-02/193 ბრძანების** (ცვლილება 11.12.2024 წლის №01-02/208 ბრძანებით), ,,აბიტურიენტთა მომზადების მოკლევადიანი მიზნობრივი საგანმანათლებლო პროგრამების ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ინგლისურ ენასა და მათემატიკაში დამტკიცების შესახებ" **ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 27 იანვრის №01-02/12 ბრძანების** (ცვლილებები 21.11.2023 წლის №01-02/216 და 29.11.2024 წლის №01-02/202 ბრძანებებით), ,,ბსუ-ს მიერ საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანასთან დაკავშირებით მესამე მისიით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 29 დეკემბრის N07-01/62 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს მესამე მისიის აქტივობისათვის (მაღალმთიანი რეგიონის აბიტურიენტების ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მოსამზადებელი პროგრამების განხორციელებისათვის) 2023-2024 სასწავლო წელს გასატარებელი ღონისძიებების შესახებ" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 17 ნოემბრის N07-01/60 გადაწყვეტილების (ცვლილება N07-01/02, 16.01.2024 წ. გადაწყვეტილებით), ,,ბსუ-ს მესამე მისიის აქტივობისათვის (მაღალმთიანი რეგიონის აბიტურიენტების ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მოსამზადებელი პროგრამების განხორციელებისათვის) გასატარებელი ღონისძიებების შესახებ" **ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 15 ნოემბრის N07-01/64 გადაწყვეტილების,** ,,აბიტურიენტთა მომზადების მოკლევადიანი მიზნობრივი საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობისა და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ" **ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2024 წლის 29 ნოემბრის №01-10/106 ბრძანების,** ,,აბიტურიენტთა მომზადების მოკლევადიანი მიზნობრივი საგანმანათლებლო პროგრამებზე მსმენელთა ჩარიცხვის შესახებ" **ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის №01-08/977** ბრძანების, **,,ბსუ-ს 2025 წლის ბიუჯეტის** დამტკიცების შესახებ" წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 11 დეკემბრის №07-01/69 გადაწყვეტილების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის **სამინისტროს** და **ბსუ-ს შორის 2025 წლის 13 იანვარს გაფორმებული N1 ხელშეკრულების,** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს **კორესპონდენციის** (MES 5 25 0000011975, 15/01/2025), ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის

მოსამზადებელი მიმართულების კოორდინატორის, ასოცირებულ პროფესორ ქეთევან შოთაძის 2025 წლის 30 იანვრის სამსახურებრივი ბარათის (№85509) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მოსამზადებელი მიმართულების აბიტურიენტთა მომზადების მოკლევადიანი მიზნობრივი საგანმანათლებლო პროგრამების აბიტურიენტთა მომზადების მოკლევადიანი მიზნობრივი საგანმანათლებლო პროგრამების 2025 წლის თებერვალ-ივნისში განხორციელების მიზნით პროგრამების განმახორციელებელი **პერსონალის შრომის ანაზღაურება განისაზღვროს:**

ა) აბიტურიენტთა ჯგუფური მეცადინეობის შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტებში ჩატარებისათვის - შრომის 1 (ერთი) საათის ღირებულება 50 ლარით;

ბ) პროგრამის განხორციელების ადმინისტრირებისათვის განსაზღვრული ბსუ-ს დამხმარე პერსონალისათვის (ბსუ-ს უწყვეტი განათლების მიმართულებით მოსამზადებელი მიმართულების კოორდინატორი) - შრომის 1 (ერთი) საათის ღირებულება - 25 ლარით.

2. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მოსამზადებელი მიმართულების აბიტურიენტთა მომზადების მოკლევადიანი მიზნობრივი საგანმანათლებლო **პროგრამების 2025 წლის თებერვალ-ივნისის ხარჯთაღრიცხვა დამტკიცდეს** წინამდებარე ბრძანების **N1 დანართის** შესაბამისად.

3. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

4. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ–ს რექტორს, რექტორის მოადგილეს (თამარ სირაძეს), ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს წევრებს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი წესით და ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი
(ადმინისტრაციის ხელმძღვანელის
მოვალეობის შემსრულებელი) **ირინე ბერიძე**

„აბიტურიენტთა მომზადების მოკლევადიანი მიზნობრივი საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობისა და ხარჯთაღრიცხვის (2025 წლის თებერვალი-ივნისი) დამტკიცების შესახებ“

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2025 წლის 31 იანვრის № 01-10/10 ბრძანების

დანართი 1

	აბიტურიენტთა მოსამზადებელი მიზნობრივი პროგრამის (2025 წლის თებერვალ-ივნისი) ხარჯთაღრიცხვა	
1.	ბსუ-ს დაფინანსება	ლარი
2.	ხარჯები	
2.1	შესრულებული სამუშაო საათების რაოდენობა 2025 წლის თებერვალ-ივნისში	1303 საათი
2.2	პერსონალის შრომის ანაზღაურება, მათ შორის:	61 775
2.2.1	პროგრამის განმახორციელებელი ძირითადი პერსონალის შრომის ანაზღაურება	58 400 ლარი
2.2.2	დამხმარე პერსონალი (ბსუ-ს უწყვეტი განათლების მიმართულებით მოსამზადებელი მიმართულების კოორდინატორის შრომის ანაზღაურება)	3375 ლარი
3.	სულ ხარჯი	61 775 ლარი

	პროგრამის განმახორციელებელი და დამხმარე პერსონალი	საკონტაქტო საათი 1 ჯგუფზე	სულ საკონტაქტო საათი	1 სთ-ის ანაზღაურება (ლარი)	საერთო შრომის ანაზღაურება (ლარი)
1	პროგრამის განმახორციელებელი ძირითადი პერსონალი (მასწავლებელთა პერსონალის შესასრულებელი სამუშაო)			50	ლარი
1.1	საგანში „ქართული ენა და ლიტერატურა“ - აბიტურიენტების 4 ჯგუფისათვის	88 სთ	352 სთ	50	17 600
1.2	საგანში „ინგლისური ენა“ - აბიტურიენტების 4 ჯგუფისათვის	88 სთ	352 სთ	50	17 600
1.3	საგანში „მათემატიკა“ - აბიტურიენტების 5 ჯგუფისათვის	მათ შორის 3 ჯგუფზე - 88 საათი 2 ჯგუფზე - 100 საათი	464 სთ	50	23 200
	პროგრამის დამხმარე პერსონალი				
2.	**დამხმარე პერსონალი (ბსუ-ს უწყვეტი განათლების მიმა-რთულებით მოსამზადებელი მიმართულების კოორდი-ნატორი)**		135 სთ	25	3375 ლარი
				სულ	**61 775 ლარი**